



5286/1-6/21 2 02062021

5286/1-6/21

02-06-2021

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ბატონ მიხეილ ჩხენკელი


ბატონო მიხეილ,

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

არის თუ არა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობის პროცესში გათვალისწინებული, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ინტერესები და კონკრეტულად, იცნობთ თუ არა ტერეზა გალსტიანის შემთხვევას, რომელმაც არაერთხელ მიმართა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და თუ იცნობთ, კონკრეტულად რა ზომების გატარებას აპირებთ, რომ ტერეზა არ დარჩეს საგამოცდო პროცესის მიღმა?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 5 21 0000605411



21/06/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 02 ივნისის N5286/1-6/21 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N513649; 02.06.2021) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის (შემდგომში - ცენტრი) ცნობილია აბიტურიენტ ტერეზა გალსტიანის სპეციალური საგამოცდო საჭიროების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ უცხოური ენის მოსმენის ნაწილი სმენადაქვეითებული აბიტურიენტებისათვის მართლაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა, თუმცა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი წლების განმავლობაში ცდილობს, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მსგავს აბიტურიენტებს და შესთავაზოს შესაბამისი საგამოცდო გარემო.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ ცენტრმა მიიღო სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. წინადადებაში მოცემულია ის პრინციპები, რომელსაც გონივრული მისადაგების ვალდებულების რეალიზების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს, მათ შორის, აღნიშნულია: გონივრული მისადაგების მსურველთან დიალოგის გამართვა; მისადაგების ღონისძიების შეფასება სამართლებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით. კერძოდ, გონივრულ მისადაგებაზე უარი ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციულად, თუკი მისი განხორციელება შეუძლებელია სამართლებრივად და მატერიალურად; მისადაგების აუცილებლობისა და სათანადოობის შეფასება, ასევე მისი შესრულებისას ეფექტიანობის შეფასება; რამდენად დააკისრებს ვალდებულების ადრესატს შესაბამისი ღონისძიების შესრულება დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეს. ამგვარი შეფასების პროცესი წარმოუდგენელია პროპორციულობის შეფასების გარეშე; თანასწორობის მიღწევის მიზნიდან გამომდინარე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შემდეგი ფაქტორები: ფინანსური ხარჯები, არსებული რესურსები (მათ შორის, სახელმწიფო სუბსიდიები), მიმსადაგებელი მხარის ზომა (მთლიანობაში), ინსტიტუტს ან კომპანიაზე ცვლილების ზეგავლენა, მესამე მხარის სარგებელი, უარყოფითი ზეგავლენა სხვა პირებზე და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გონივრული მოთხოვნები.

წარმოდგენილი პრინციპების გათვალისწინებით, ცენტრმა განაახლა აბიტურიენტებისათვის სპეციალური საგამოცდო პირობების შექმნის მიზნით ცენტრში არსებული კომისიის საქმიანობის წესი, გაიწერა იმ სპეციალური პირობების ჩამონათვალი, რომელთა შექმნის შესაძლებლობაც ცენტრს აქვს, დადგინდა ფუნქციონალური დარღვევების შესაბამისი სპეციალური პირობების საორიენტაციო ჩამონათვალი და განისაზღვრა იმ აბიტურიენტებთან კომუნიკაციის აუცილებლობა, რომელთაც ექმნებათ სპეციალური პირობა. რამდენიმე ტიპის სპეციალური პირობის შექმნის შესაძლებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებლად აბიტურიენტი ერთვება, რათა მისთვის სასურველი და მის საჭიროებებზე ყველაზე მეტად მორგებული პირობა შეექმნას მას.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2020 წლის გამოცდილების გათვალისწინებით, კომისიის მუშაობის ახალი წესის შემუშავებამდე ცენტრმა დაგეგმა და ჩაატარა კვლევა წინა წლებში გამოცდებში მონაწილე სპეციალური საჭიროების გამოსაცდელებს შორის, რათა გამოგვევლინა პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები და შექმნილი სპეციალური პირობების გონივრულობა და შესაბამისობა. ამასთან, ცენტრმა შეხვედრები გამართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან (მათ შორის ინკლუზიური განათლების მიმართულებით), რათა განეხილათ სმენადაქვეითებული აბიტურიენტებისათვის შესათავაზებელი სპეციალური პირობების საკითხი. ცენტრმა შეისწავლა საერთაშორისო გამოცდილებაც, თუ რა პირობებს უქმნიან სმენადაქვეითებულ აპლიკანტებს მსოფლიოს წამყვანი საგამოცდო ცენტრები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაფართოვდა იმ პირობების ჩამონათვალი, რაც სმენადაქვეითებულ აბიტურიენტებს შეიძლება შესთავაზოს ცენტრმა. ჩატარებულ კვლევაში გამოკითხულ პირთა ნაწილმა ხმის გამაძლიერებელთან ახლოს დასმის ნაცვლად ყურსასმენით სარგებლობას მიანიჭა უპირატესობა, ამდენად, ცენტრმა 2021 წელს სპეციალური პირობების ჩამონათვალს ყურსასმენებით სარგებლობის შესაძლებლობაც დაამატა. გარდა ამისა, სმენადაქვეითებულებისათვის შესაძლებელი გახდა წამკითხველის დახმარებით სარგებლობაც (სიტყვების აღქმა ტუჩების მოძრაობით). სპეციალური საჭიროების მქონე პირებს, ექიმის რეკომენდაციის შესაბამისად, ემატებათ საგამოცდო დროც. მათ უფლება აქვთ გამოცდაზე გამოიყენონ საკუთარი სმენის აპარატიც.

როგორც მოგეხსენებათ, ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩატარების მიზანია: ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ბ) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრი იყენებს ტესტირების თანამედროვე მეთოდებს და მუდმივად ცდილობს ტესტების შინაარსისა და ფორმატის ხარისხის გაუმჯობესებას. უცხოური ენის ტესტი მოსმენის ნაწილის გარეშე ვერ უზრუნველყოფს აბიტურიენტთა ცოდნისა და უნარების შეფასებას, შესაბამისად, ცენტრის მიერ უცხოური ენის ტესტის ფორმატის ცვლილება და მხოლოდ წერითი ან კითხვის უნარების შემოწმება შეუძლებელია.

ამასთან, ცალკეული აბიტურიენტებისათვის უცხოური ენის ტესტის მოსმენის ნაწილის ჩანაცვლება წერითი კომპონენტით (რასაც ზოგიერთი აბიტურიენტი ითხოვს), ამ პირებს გაუმართლებლად არათანასწორ პირობებში ჩააყენებს სხვა დანარჩენ აბიტურიენტებთან მიმართებით, რაც ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებს, არამედ ერთიანი ეროვნული გამოცდების ზემოაღნიშნულ პრინციპებსაც. ამდენად, სმენადაქვეითებული აბიტურიენტებისათვის განსხვავებული ტესტის შეთავაზება ეწინააღმდეგება მოქმედ სამართლებრივ ნორმებს და გამოიწვევს უარყოფით ზეგავლენას

სხვა აბიტურიენტების უფლებებზე, რისი გათვალისწინებაც მოთხოვნილი იყო საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადებით გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოური ენის ტესტის მოსმენის ნაწილის ჩანაცვლება წერითი ან კითხვის კომპონენტით ვერ იქნება შეთავაზებული სმენადაქვეითებული აბიტურიენტებისათვის, როგორც ერთ-ერთი დამატებითი სპეციალური პირობა. ასეთი პრაქტიკა არ აქვს არც ერთ მსოფლიოში წამყვან ტესტირების ორგანიზაციას, რომლებიც ამ სფეროში სტანდარტებს ამკვიდრებენ (მაგალითად Cambridge Assessment ევროპაში ყველაზე დიდი ტესტირების ორგანიზაცია, Educational Testing Service (ETS) ამერიკაში არსებული მსგავსი ორგანიზაცია და ა.შ.)

2021 წელს დაახლოებით 40-მდე სმენადაქვეითებულმა აბიტურიენტმა მომართა ცენტრს სპეციალური პირობების შექმნის მოთხოვნით, მათ შორის, როგორც მე-3, ისე მე-4 ხარისხის სმენადაქვეითებულმა პირებმაც. ეს პირები ცენტრის მიერ შეთავაზებული სპეციალური პირობებიდან მათთვის ყველაზე მეტად შესაბამის პირობას ირჩევენ. თუმცა, ვინაიდან ერთი აბიტურიენტისთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, ჩვენ ვაგრძელებთ კომუნიკაციას ამ კონკრეტულ აბიტურიენტთან, რომ კანონმდებლობის ფარგლებში დამატებითი კონსულტაციებით მოვძებნოთ გამოსავალი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ცენტრალიზებული გამოცდები, თავისი არსიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვერ უზრუნველყოფდეს აბსოლუტურ თანაბრობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტებსა და დანარჩენ აბიტურიენტებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულების მიზნით, მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტებს, გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოსაპოვებელი სახელმწიფო სასწავლო გრანტისა, ყოველწლიურად მთავრობის დადგენილებით ეძლევათ დამატებით სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესაძლებლობა. ამ პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებთან ერთად სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების უფლება აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, კატეგორიისთვის გამოყოფილი რაოდენობის ფარგლებში.

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებს სთავაზობს ყველა შესაძლო, საერთაშორისოდ აღიარებულ სპეციალურ პირობას იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს ერთიანი ეროვნული გამოცდების მიზნები.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

